ბოლო ჟამს გამოჩნდება ხალხი - ახალგაზრდები ასაკით და გონებით შეზღუდულნი, ისინი იტყვიან ყველაზე ლამაზ სიტყვებს, რაც კი ქმნილებებს უთქვამთ, მაგრამ მათი რწმენა არ გასცდება ყელს. ისინი ისლამიდან ისე სწრაფად გამოვლენ, როგორც ისარი მიისწრაფის სამიზნისკენ

გადმოცემულია ალისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: «როდესაც გიამბობთ ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შესახებ, ჩემთვის უფრო მარტივია გადმოგდებული ვიქნე ზეციდან, ვიდრე მის შესახებ ტყუილი გითხრათ, ხოლო როცა გესაუბერებით რაც არის ჩემსა და თქვენს შორის, ჭეშმარიტად ბრძოლა არის ხრიკი, მოვისმინე ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ბოლო ჟამს გამოჩნდება ხალხი - ახალგაზრდები ასაკით და გონებით შეზღუდულნი, ისინი იტყვიან ყველაზე ლამაზ სიტყვებს, რაც კი ქმნილებებს უთქვამთ, მაგრამ მათი რწმენა არ გასცდება ყელს. ისინი ისლამიდან ისე სწრაფად გამოვლენ, როგორც ისარი მიისწრაფის სამიზნისკენ. სადაც არ უნდა შეხვდეთ მათ — მოკალით ისინი, რადგან მათი მოკვლა მოუტანს ჯილდოს იმას, ვინც ამას შეასრულებს, აღდგომის დღეს».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მორწმუნეთა მმართველმა ალი იბნ აბუ ტალიბმა (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით) თქვა: თუ გაიგებთ, რომ მე გადმოგცემთ ჰადისს მოციქულისგან (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას), იცოდეთ, რომ მე არ ვსარგებლობ ევფემიზმებით, არ ვსაუბრობ ორაზროვნად და არ ვფარავ მნიშვნელობას — მე პირდაპირ ვლაპარაკობ. ჩემთვის უფრო ადვილია ციდან ჩამოვვარდე, ვიდრე მოვიტყუო ალლაჰის მოციქულზე (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას). რაც შეეხება იმ საკითხებს, რომლებიც ჩემსა და ადამიანებს შორის ურთიერთობას ეხება, ამ შემთხვევაში ომი — ეს არის მოტყუება. შემიძლია ვისარგებლო მინიშნებებით, სახვითი გამონათქვამებით ან გადატანითი მნიშვნელობით. მე მესმოდა, როგორ ამბობდა მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას): ბოლო ჟამს იქნებიან ახალგაზრდა ხალხი, გამოუცდელი გონებით, ისინი ისაუბრებენ ყურანს და ხშირად იკითხავენ მას, ისინი გავლენ ისლამიდან და გასცდებიან მის საზღვრებს, როგორც ნასროლი ისარი ნადირიდან, მათი რწმენა = მათ ყელს არ გადასცდება, სადაც არ უნდა შეხვდეთ მათ, მოკალით ისინი, მათი მოკვლა მადლია, ვინც მათ მოკლავს მიიღებს მადლს განკითხვის დღეს.